

სახელი, გვარი : \_\_\_\_\_

1) რომელი რელიგია იყო დაწინაურებული ოსმალეთის იმპერიაში?

ა. ქრისტიანობა, ბ. ბუდიზმი, გ. სუნიტური ისლამი, დ. შიიტური ისლამი.

2) ოსმალეთში სხვა რელიგიის მქონე ხალხები, რომელსაც საკუთარი სასამართლოც გააჩნდათ, ქმნიდნენ...

ა. ბეილიქებს, ბ. ვილაიეთებს, გ. მილეთებს, დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

3) ოსმალეთის ჯარში, კერძოდ იენიჩართა კორპუსში, მსახურების უფლება ჰქონდათ...

ა. შიიტ მუსლიმ ჭაბუკებს, რომლებიც შემდეგ სუნიტურ ისლამს აღიარებდნენ.

ბ. ქრისტიან ჭაბუკებს, რომლებიც საკუთარი ნებით ირიცხებოდნენ აღნიშნულ ჯარში.

გ. ქრისტიან ტყვე ჭაბუკებს, რომლებსაც ისლამის რჯულზე აქცევდნენ

დ. ა და გ არის სწორი.

4) ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდა...

ა. იაიას ჯარი, ბ. სიფაჰები, გ. აკინჯები, დ. იენიჩრები.

5) ოსმალეთის იმპერიის დაპყრობით ომებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა კავალერია, რომელსაც ეწოდებოდა...

ა. იაიას ჯარი, ბ. სიფაჰები, გ. ყულლარ-ადასები, დ. იენიჩრები.

6) სულთანი სახელმწიფოს განაგებდა...

ა. ოსმალეთის დივანის საბჭოს მიერ შეზღუდული უფლებებით.

ბ. შეუზღუდავი მონარქიული უფლებებით.

გ. პარლამენტის მიერ შეზღუდული უფლებებით.

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

7) ოსმალეთში სულთნის სავეზირო საბჭოს ეწოდებოდა...

ა. მეჯლისი, ბ. ყურულთაი, გ. დივანი, დ. პარლამენტი.

8) დიდი ვეზირის თანამდებობაზე ქრისტიანი, მაგრამ გამუსლიმებული ვეზირები, ინიშნებოდნენ...

ა. XIII საუკუნიდან, ბ. XIV საუკუნიდან, გ. XV საუკუნიდან, დ. XVI საუკუნიდან.

9) ოსმალეთის იმპერიის ძლიერებამ დაახლოებით გასტანა...

ა. 100 წელი, ბ. 150 წელი, გ. 200 წელი, დ. 300 წელი.

10) საბერძნეთის დიდი ნაწილი ოსმალეთის დაქვემდებარებაში გადავიდა...

ა. 1453 წლიდან, ბ. 1455 წლიდან, გ. 1460 წლიდან, დ. 1475 წლიდან.

11) საბერძნეთის დაპყრობამ გამოიწვია ოსმალეთის დაპირისპირება ვენეციასთან (რომელსაც მხარს უჭერდნენ რომის პაპი და ნეაპოლის სამეფო). ომი გაგრძელდა...

ა. 16 წელი და ვენეციის გამარჯვებით დასრულდა.

ბ. 16 წელი და ოსმალეთის გამარჯვებით დასრულდა.

გ. 11 წელი და მათ შორის გაფორმდა საუკუნო ზავი.

დ. 13 წელი და ვენეციის გამარჯვებით დასრულდა.

12) ყირიმის ხანმა ოსმალეთის იმპერიის მორჩილება გამოაცხადა...

ა. 1460 წელს, ბ. 1466 წელს, გ. 1475 წელს, დ. 1481 წელს.

13) ყირიმელი თათრები ხშირად მონაწილეობდნენ ოსმალების ლაშქრობებში და მათი ჯარის რაოდენობა ხშირად...

ა. 40 000 მეომარს აღწევდა, ბ. 60 000 მეომარს აღწევდა,

გ. 100 000 მეომარს აღწევდა, დ. 150 000 მეომარს აღწევდა.

14) ოსმალური დაპყრობები კიდევ უფრო გაძლიერდა სულთან სელიმ I-ის დროს, რომელიც იმპერიას მართავდა...

ა. 1481-1512 წწ., ბ. 1512-1520 წწ., გ. 1514-1517 წწ., დ. 1517-1520 წწ.

15) XVI საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთის ყველაზე ძლიერი მტერი იყო...

ა. საქართველოს სამეფო, ბ. მამლუქთა სასულთნო, გ. სეფიანთა ირანი, დ. აყ-ყოიუნლუ.

16) ჩალდირანის ბრძოლა გაიმართა...

ა. 1516 წელს. ოსმალეთმა დაამარცხა მამლუქთა ჯარი,

ბ. 1512 წელს. ოსმალეთმა დაამარცხა ქართველთა ჯარი,

გ. 1514 წელს. ოსმალეთმა დაამარცხა სეფიანთა ირანის ჯარი,

დ. 1517 წელს. ოსმალეთმა დაამარცხა თეთრბატკნიანთა ირანის ჯარი.

17) ოსმალეთის ჯარმა, სულთან სელიმ I-ის სარდლობით, ეგვიპტე და არაბული ქვეყნების დიდი ნაწილი დაიმორჩილა...

ა. 1511-1512 წლებში, ბ. 1512-1514 წლებში, გ. 1516-1517 წლებში, დ. 1516-1520 წლებში.

18) ოსმალეთის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენდა...

ა. დაპყრობილი ქვეყნებიდან აკრეფილი ხარკი.

ბ. ვასალური ქვეყნების მმართველებისგან გამოგზავნილი ხარკი.

გ. ევროპასა და აზიას შორის საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო გზების ფლობა.

დ. ა და გ არის სწორი.

19) ოსმალეთის იმპერიაში ოქროს ხანას უწოდებენ...

ა. სულთან მეჰმედ II-ის მმართველობას, ბ. სულთან სელიმ I-ის მმართველობას,

გ. სულთან სულეიმან I-ის მმართველობას, დ. სულთან სულეიმან II-ის მმართველობას.

20) სულეიმან I-ის მმართველობის წლებია...

ა. 1512-1517 წწ, ბ. 1520-1566 წწ, გ. 1520-1567 წწ, დ. 1567-1570 წწ.

21) სულეიმანმა ქ. ბელგრადი დაიპყრო და ვენეციასთან ხელშეკრულება გააფორმა...ა

ა. 1521 წელს, ბ. 1522 წელს, გ. 1526 წელს, დ. 1529 წელს.

22) ოსმალებმა კუნძული როდოსი დაიპყრეს და ხმელთაშუა ზღვაზე კონტროლის დამყარებას შეუდგნენ...

ა. 1521 წელს, ბ. 1522 წელს, გ. 1526 წელს, დ. 1529 წელს.

23) ოსმალეთის ჯარმა უნგრეთის სამეფოს მხედრობა დაამარცხა მოჰაჩის ბრძოლაში...

ა. 1522 წელს, ბ. 1526 წელს, გ. 1529 წელს, დ. 1532 წელს.

24) ოსმალეთის 200 000-იანმა ჯარმა ქალაქ ვენაზე იერიში მიიტანა, მაგრამ ცივი ზამთრის შედეგად ამ ალყის მოხსნა მოუწია. რომელ წელს განხორციელდა აღნიშნული მოვლენა?

ა. 1522 წელს, ბ. 1526 წელს, გ. 1529 წელს, დ. 1532 წელს.

25) ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ფლოტი შეიკრიბა და პრევეზას ბრძოლა გაიმართა...

ა. 1529 წელს, ბ. 1535 წელს, გ. 1538 წელს, დ. 1555 წელს.

26) პრევეზას ბრძოლაში ოსმალებს მეთაურობდათ...

ა. პირი რეისი, ბ. იბრაჰიმ ფაშა, გ. სულეიმან I, დ. ჰაირედდინ ბარბაროსა.

27) პრევეზას ბრძოლაში ჯვაროსნებს სარდლობდათ...

ა. სერვანტესი, ბ. ლაიოშ I, გ. ანდრეა დორია, დ. სებასტიან ვენიერი

28) დაწერეთ, თუ რა შედეგით დასრულდა პრევეზას ყურეში გამართული ბრძოლა...

29) ირან-ოსმალეთს შორის ამასიის ზავი გაფორმდა...

ა. 1550 წლის 29 მაისს, ბ. 1553 წლის 29 მაისს, გ. 1555 წლის 29 მაისს, დ. 1639 წლის 29 მაისს.

30) დაწერეთ : ამასიის ზავის თანახმად, რა ტერიტორია გაინაწილეს ირანმა და ოსმალეთმა...

31) ოსმალეთმა მოგვიანებით ძალა მოიკრიბა და ახალი ომი წამოიწყო ირანის წინააღმდეგ. მათ ახალი ზავი (ზოჰაბის / ქასრ-ი შირინის ზავი), რომელიც იმეორებდა ამასიის ზავის პირობებს. რომელ წელს ხდება აღნიშნული მოვლენა.

ა. 1623 წელს, ბ. 1635 წელს, გ. 1638 წელს, დ. 1693 წელს.

32) „ორი კონტინენტისა და ორი ზღვის მფლობელი, მექისა და მედინის მფარველი, სტამბოლის, ედირნის, ბურსას, კაიროს, დამასკოს, ალეპოს, ბელგრადის მფლობელი" . ამ ტიტულით მოიხსენიებდნენ...

ა. სულთან სელიმ I-ს, ბ. სულთან სულეიმან I-ს, გ. სულთან სელიმ II-ს, დ. სულთან მურად IV-ს.

33) ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ, რომელსაც ჰაბსბურგები მართავდნენ, ოსმალეთს დაუმოკავშირდა...

ა. ესპანეთი, ბ. საფრანგეთი, გ. იტალია, დ. საღვთო რომის იმპერია.

33) ოსმალეთ-საფრანგეთის პირველი კონტაქტი დაიწყო...

ა. 1481 წლიდან, ბ. 1483 წლიდან, გ. 1526 წლიდან, დ. 1535 წლიდან.

34) საფრანგეთ-ოსმალეთს შორის, „მშვიდობის, მეგობრობის და ვაჭრობის" ხელშეკრულება გაფორმდა...

ა. 1483 წელს, ბ. 1529 წელს, გ. 1535 წელს, დ. 1536 წელს.

**35) ლეპანტოს საზღვაო ბრძოლა გაიმართა...**

ა. 1571 წელს, ბ. 1575 წელს, გ. 1578 წელს, დ. 1583 წელს.

**36) დაწერეთ : რა გავლენა იქონია ოსმალეთზე ლეპანტოს ბრძოლაში დამარცხებამ?**

**37) რომელი ცნობილი ესპანელი მწერალი დაიჭრა ლეპანტოს ბრძოლაში...**

ა. ბერგამინი, ბ. უნამუნო, გ. სერვანტესი, დ. პერეს-რევერტე.

**38) ქალაქ ვენაზე ოსმალებმა მეორე ალყა მიიტანეს...**

ა. 1532 წელს, ბ. 1535 წელს, გ. 1680 წელს, დ. 1683 წელს

**39) ოსმალების მეორე ალყა ქალაქ ვენაზე წარუმატებლად დასრულდა.**

ა. მოულოდნელი ზამთრის გამო.

ბ. შავი ჭირის ეპიდემიის გამო.

გ. პოლონეთის მეფე იან III სობესკი მიეხმარა ავსტრიელებს და გაანადგურა ოსმალეთის ჯარი.

დ. ავსტრიის მეფე მაქსიმილიანმა იმდენად კარგად გაამაგრა ქალაქი, რომ ოსმალებმა ვერ შეძლეს მისი აღება.

**40) დამარცხებული ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპის დაწინაურებულმა ქრისტიანულმა ქვეყნებმა შექმნეს...**

ა. „ერთა ლიგა“, ბ. „საღვლო ლიგა“, გ. „ლომბარდიის ლიგა“, დ. „შროშანის ლიგა“.

**41) 1699 წელს დამარცხებულ ოსმალეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის გაფორმდა...**


ა. იასის ზავი, რითაც ოსმალეთმა დათმო ევროპის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის პოლონეთი.

ბ. სტამბოლის ზავი, რითაც ოსმალეთმა დათმო მესოპოტამიის დიდი ნაწილი, მათ შორის ქ. ბაღდადი.

გ. კარლოვაცის ზავი, რითაც ოსმალეთმა დათმო ევროპის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის უნგრეთიც.

დ. ათენის ზავი, რის შედეგადაც ოსმალებმა დათმეს ბალკანეთის დიდი ნაწილი, მათ შორის პელოპონესის ნახევარკუნძული.

42) სქემა (7 ქულა).








მდინარე დუნაი



თიანეთი, 29  
აგვისტო  
V



N2.



N3.


29 აგვისტოს ქალაქ სამხრეთ უნგრეთში, დუნაის მარჯვენა ნაპირზე მოხდა ბრძოლა თურქეთის სულთანის არმიასა (100 ათასი ჯარისკაცი და 300 ქვემეხი) და უნგრეთის, ჩეხეთის და ხორვატიის მეფის თავად-აზნაურთა არმიას (25 ათასი ჯარისკაცი და 80 ქვემეხი) შორის.

თურქების ძალიან დიდი უპირატესობა აისახა ბრძოლის შედეგებზეც: მეფის არმიამ განიცადა დამანგრეველი მარცხი, თვითონ მეფე კი დაიღუპა უკან დახევის დროს. ბრძოლის შედეგად თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია გადავიდა თურქების კონტროლქვეშ, ტაძრებს მიშენებულ იქნა მინარეთები, ხოლო უნგრეთის დედაქალაქი საუკუნენახევრით გადატანილი იქნა ჩრდილოეთით, ბრატისლავაში.

თურქების რიცხოზრივმა უპირატესობამ გამოიწვია ის, რომ გამარჯვებას თურქებმა მიაღწიეს 2 საათში. თურქების არმიაში უპირატესად ჭარბობდნენ გათურქებული სლავი-მუსლიმები (იენიჩარები) ოსმალეთის იმპერიის ბალკანეთის სამფლობელოებიდან.




1. (2ქ) დაასახელოთ სქემაზე წარმოდგენილი დაპირისპირებული მხარეები.
2. (1ქ) ტექსტის მიხედვით, ვინ მეთაურობდა ოსმალების მხედრობას?
3. (1ქ) რომელ ბრძოლაზეა საუბარი და რომელ წელს მოხდა ის?
4. (2ქ) სქემის მიხედვით რა მოიმოქმედეს ოსმალებმა მტრის დასამარცხებლად და რომელ სქემაზეა ბრძოლის უკანასკნელი ფაზა?
5. (1ქ) რამდენი ჯარი ჰყავდა ორივე მოწინააღმდეგე მხარეს და რა შედეგით დასრულდა ბრძოლა.



43) რომელი ბრძოლაა ასახული სქემაზე :

- ა. ვარნას ბრძოლა, ბ. პრევეზას ბრძოლა, გ. ლეკანტოს ბრძოლა.

44) რუკა (9 ქ)



1. (1ქ) რომელი საუკუნის ოსმალეთია გამოსახული რუკაზე?
2. (2ქ) დაასახელეთ ორი საზღვაო ბრძოლა, რომელიც ოსმალეთსა და ევროპის ფლოტს შორის გაიმართა.
3. (1ქ) რუკის მიხედვით, დაასახელეთ ერთი ბრძოლა, რომელიც სეფიანთა ირანის წინააღმდეგ გაიმართა.
4. (3) დაასახელეთ ის ზავი, შედეგი და მისი გაფორმების წელი, რომლითაც ირანმა და ოსმალეთმა რუკაზე აღწერული სახელმწიფოების ტერიტორია გაინაწილეს.
5. (1) რუკის მიხედვით დაასახელეთ ის ბრძოლა და მისი წელი, რომლითაც ოსმალეთმა უნგრეთის დიდი ნაწილი დაიპყრო.
6. (1) რომელ საუკუნეში და ვისი მმართველობის დროს მიადგინა ოსმალეთის იმპერიამ ოქროს ხანას. რა უწოდეს ევროპელებმა აღნიშნულ მმართველს და რის საფუძველზე.



45. (4ქ)

1. (2 ქ) ვინ არის გამოსახული სურათზე და რომელ წლებში მონაწილეობენ?
2. (2ქ) დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელიც სურათზე აღნიშნული სულთნის დროს გამართა ოსმალეთმა.

46) სეფიანთა დინასტია ირანის სათავეში მოდის...

ა. XIV საუკუნიდან, ბ. XV საუკუნიდან, გ. XVI საუკუნიდან, დ. XVII საუკუნიდან

47) სეფიანთა ირანი დაარსა, ირანი გააერთიანა და დაპყრობითი ომები წამოიწყო...

ა. შაჰ სეფი I-მა, ბ. შაჰ თამაზ I-მა, გ. შაჰ ისმაილ I-მა, დ. შაჰ აბას I-მა.

48) შაჰ ისმაილ I-ის მოღვაწეობის წლებია

ა. 1512-1524 წწ, ბ. 1500-1524 წწ, გ. 1501-1523 წწ, დ. 1501-1524 წწ.

49) 1514 წელს სეფიანთა ირანი ოსმალეთთან დამარცხდა...

ა. მოჰაჩის ბრძოლაში, ბ. ჰორმუზის ყურესთან ბრძოლაში,

გ. ჩალდირანის ბრძოლაში, დ. ბაღდადთან ბრძოლაში

50) შაჰ თამაზ I-ის, რომელმაც იმპერია გაცილებით უფრო მოაძლიერა, მოღვაწეობის წლებია...

ა. 1512-1524 წწ, ბ. 1500-1524 წწ, გ. 1524-1570 წწ, დ. 1524-1576 წწ.

51) შაჰ თამაზმა შირვანშაჰების სახელმწიფოს ბოლო მოუღო...

ა. 1535 წელს, ბ. 1538 წელს, გ. 1540 წელს, დ. 1555 წელს.

52) 1555 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის გაფორმდა...

ა. ქასრ-ი შირინის ზავი, ბ. გულისტანის ზავი, გ. ამასიის ზავი, დ. თურქმენჩაის ზავი.

53) შაჰ თამაზის გარდაცვალების შემდეგ ირანში დაიწყო შიდაარეულობები, რომლითაც ისარგებლეს ოსმალებმა და დაიწყეს ლაშქრობა მათ წინააღმდეგ. რომელი ლეების ირან-ოსმალეთის ომზეა საუბარი?

ა. 1533-1535 წწ, ბ. 1543-1545 წწ, გ. 1553-1555 წწ, დ. 1578-1590 წწ.

54) ირანში შაჰ აბას I-ის ზეობის წლებია...

ა. 1583-1629 წწ, ბ. 1587-1629 წწ, გ. 1578-1590 წწ, დ. 1589-1627 წწ.

55) დაწერეთ ის ძირითადი რეფორმები, რომელიც შაჰ აბას I-მა გაატარა ირანში მმართველობის დროს...

56) შაჰ აბასმა ოსმალეთთან ომი განაახლა (რომელიც 1612 წლამდე გაგრძელდა)...

ა. 1600 წელს, ბ. 1603 წელს, გ. 1607 წელს, დ. 1612 წელს.



57) ამასიის ზავის შემდეგ, ოსმალეთ-ირანს შორის მეორე საუკუნო ზავი გაფორმდა...

ა. 1590 წელს, ბ. 1629 წელს, გ. 1639 წელს, დ. 1649 წელს.

58) შაჰ აბასმა პორტუგალიელები კუნძულ ბაჰრეინის განდევნა...

ა. 1601 წელს, ბ. 1602 წელს, გ. 1603 წელს, დ. 1613 წელს.

59) ირანმა ინგლისის ფლოტის დახმარებით ჰორმუზის კუნძული დაიკავა.

ა. 1615 წელს, ბ. 1620 წელს, გ. 1622 წელს, დ. 1629 წელს.

60) ჰორმუზის ყურეში თავი გამოიჩინა ირანში მოღვაწე ქართველმა...

ა. ალავერდი ხან უნდილაძემ, ბ. იმამყული ხან უნდილაძემ, გ. გიორგი სააკაძემ, დ. როსტომ სააკაძემ.

61) ჩამოწერეთ ირანის სატახტო ქალაქები მმართველების მიხედვით:

1. ისმაილ I -

2. თამაზ I -

3. აბას I -

62) შაჰ აბას II-ის მმართველობის პერიოდია...

ა. 1629-1642 წწ, ბ. 1629-1656 წწ, გ. 1642-1666 წწ, დ. 1642-1670 წწ.

63) სეფიანთა ირანმა არსებობა შეწყვიტა...

ა. XVIII საუკუნის I ნახევარში, ბ. XVII საუკუნის I ნახევარში,

გ. XVIII საუკუნის II ნახევარში, დ. XVII საუკუნის I ნახევარში.